სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

14 მარტი 2024 B24032288/3

გადაწყვეტილება # B24032288/3 (14/03/2024 22:24:41)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B24032288** 13/03/2024 15:38:29 (განმცხადებელი: ნიკა გვარამია/62001002103/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს მთავარი არხი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **404574518**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის: წარმოსადგენია უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი, სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული სადამფუძნებლო შეთანხმების კონსოლიდირებული ტექსტი (რომელიც ასევე მოიცავს წესდებას).

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილია შპს „მთავარი არხი“-ს (ს/ნ 404574518) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია. კერძოდ, პარტნიორის და წილის ცვლილება.
2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ:

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ არის წარმოდგენილი შპს „მთავარი არხი“-ს (ს/ნ 404574518) კონსოლიდირებული სადამფუძნებლო შეთანხმება.

ამასთან, ვინაიდან, NB24032288 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, ხორციელდება იმდაგვარი ცვლილების რეგისტრაცია, რომელიც იწვევს სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილებას (მათ შორის წესდების შინაარსის ცვლილებას), რეგისტრირებულ

მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მიზნებისთვის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოსადგენია უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი, სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული შპს „მთავარი არხი“-ს (ს/ნ 404574518) სადამფუძნებლო შეთანხმების კონსოლიდირებული ტექსტი და წესდება.

3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება წესდებასთან ერთად სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს „ყოველი პარტნიორის/ დამფუძნებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს – სახელს, გვარს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს და პირად ნომერს“. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება დამატებით უნდა შეიცავდეს აგრეთვე კაპიტალში პარტნიორთა წილობრივ მონაწილეობას. ისინი გამოხატული უნდა იყოს პროცენტებით და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 100 პროცენტს”

4. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების განხორციელების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს ამ ცვლილების ტექსტთან ერთად უნდა წარედგინოს სადამფუძნებლო შეთანხმების კონსოლიდირებული ტექსტი. წარდგენილი კონსოლიდირებული ტექსტის ხარვეზი რეგისტრაციის შემაფერხებელი გარემოებაა.

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.